№ 184 4 სეკდემბერი, პარასკევი. 1866—1881 4 სეკდემბერი, პარასკევი. № 184

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გალავანის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებით ასოზე ნახევარი კაპ., ...

თუ ხანგრძლივად მოიწერება, ფასი დაიკლება. უადრესოდ და შემოწმებულს დაუბეჭდავ წერილებს ... წერილებს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორებს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ენკენისთვიდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ცალკე ღირს — სამი მანეთი

## ივერია

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

## ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი, 2 სეკტემბერს. მმართებლობის მოამბეში დაბეჭდილია გირსის ცირკულიარი უცხო ქვეყნებში მყოფ რუსეთის ელჩებთან. ახლო ნათესაობა და მეგობრობა რომელიც სუფევს ორს იმპერატორთა შორის, რუსეთისა და გერმანიისა, საკმაო იმის ასახსნელათ—თუ რა მიზეზი იყო იმათი ერთმანეთის ნახვისა. გულითადი მასპინძლობა, რომელიც დაუხვდა იმპერატორს, უფრო ამტკიცებს მეგობრულ განწყობილებას და საზოგადო მშვიდობიანობას.

რუსის ინვალიდი არჩევს უკანასკნელად მომხდარ სხვა-და-სხვა ღონისძიებას და სწერს: იმპერატორმა უბრძანა სამხედრო სამინისტროს შეამოკლოს სამხედრო ხარჯი ისეთ რიგათ, რომ საომრათ მზათ-ყოფნა არ დაირღვეს, შეამოკლოს ყოველ-წლიური გამოყვანა სალდათებისა ნამდვილი სამსახურის ვადის გადიდებით და უმთავრესა არმიის საჭიროების დაკმაყოფილებით. ამ ბრძანების ასრულების შემდეგ აღმოჩნდა ხარჯის შემცირება 6,500,000 მანეთი და რეკრუტების შემცირება 100 ათას კაცზე; სამსახურის ვადათ დაინიშნება: ხუთის წლისა—ქვეითა ჯარში და არტილლერიაში და ექვსი წლის—სხვა ჯარში აფიცრების ჯამაგირის მომატება; დასავლეთ სუსეთში კავალერიის და თავ-სატყარი მალის გადიდება.

## გურიის ავაზაკები

თბილისი, 3 სეკტემბერს.

ყაჩაღების კადნიერებამ გურიაში უკანასკნელ ხარისხამდის მიაღწია. თითო-ოროლა ვაჭრების და მოგზაურების ცარცვა და კვლა, ეტყობა, მოსწყენიათ მათ და წასრულ კვირაში, დილის ათ საათზე, დასცემიან ფართო შარაზე მიმავალ დილიჟანს, ექვსის პასაჟირით, გაუცარცვავთ მოგზაურები, ზოგიერთები დაუჭრიათ და ამ დაჭრილთაგან, როგორც გვატყობინებენ ერთი კიდეც მომკვდარა.

თუ ამ გვარათ წავიდა საქმე, მალე მოვესწრებით, რომ მომავალ რკინის გზასაც, რომელმაც უნდა შეაერთოს სამტრედია ბათუმთან, მოელის ამ გვარი ბედი.

სიზმრად მახსოვს, რომ ამ გვარი საქმე ჩაუდენიათ ავაზაკებს ისპანიაში თუ, მგონი, ჩრდილოეთ ამერიკაში.

ამ გვარ სამწუხარო შემთხვევას გულ-ხელ დაკრეფილი შეყურება არას უშველის. ავაზაკებს ნატაცები გაუტკბებათ და მალე ისეთ დიდ დალიერ გუნდს შეადგენენ, როგორიც იყვნენ ამ ორი-სამი წლის წინათ ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიებში. ასე, რომ პატიოსან კაცს მალე კარზე არ გამოესვლება, და შიგ სახლშიაც, შიშისაგან მოსვენება არ ექნება, რაისაგამო ვაჭრობა, აღებმიცემობა, მისვლა-მოსვლა და ყოველ გვარი საზოგადო, საერო საქმე წაბორძიკდება და დასუსტდება.

საჭიროა... მაგრამ, გვგონი, ამ სიტყვამ თავი მოაბეზრა ჩვენ მმართველებს... საჭიროა, რომ ადგილის ადმინისტრაციამ, თუ უმაღლესმა ადმინისტრაციამ უზრუნველ ჰყოს თავისი საადმინისტრაციო მოსახლობის ყოფა ცხოვრება. როცა თითო ოროლა შემთხვევაა ქურდობა-მტაცებლობისა, ვნებული პირის მეცადინეობა და სამართალი არსებობენ ქვეყანაში საქმის დასახმარებლათ და ადმინისტრაცია ხელს უწყობს დაზარალებულ პირს სამართლის წინაშე, მაგრამ როდესაც საქმე იქამდის მიაღწევს, რომ მთელი გუნდი შემოესევა სოფელს, ადმინისტრაცია ისე უნდა დაუხდეს ამ გუნდს, როგორც უხდება ხოლმე სოფელზე გამოლაშქრებულ მტერს მმართველობა. აქ ცალკე ოჯახის მეცადინეობა და სიფთხილე ვერას გააწყობს; საომრათ დამზადებული ადმინისტრა-

«დროების» ფელტონი, 4 სეკტემბ.

## სურათი ფშაველის ცხოვრებიდამ.

სალამო იყო. ჭალაზედ გამოჩნდა წკრივად მომდინარი ხალხი; წინ-და-წინ მოაგელებდენ ცხენებს რამდენიმე ახალ-გაზდა ფშაველები წითელ გულის-პირიან პერანგებში და ახალუხებში. უკელას ცხენის გავაზედ ესხდა წითელ-კაბა შავ-ფაფანაკიანი ქალები.

იმღეროდნენ, იცინოდნენ, ლაღობდნენ და აგდებდნენ ერთმანერთზედ ცხენებს.

ერთი იმათგანი სხლარტი ტანის ახალ-გაზდა, მუდმივ სიცილის გამომხატველის სახით, მოსდევდა ამათ უკან გაოფლიანებულის ცხენით. მგელას არ უჯდა ქალი ცხენის გავაზედ, ეს აწუხებდა, რაცლას დასცინოდა წინებს და მსხვილი შესალტული მათრახით უშხაპუნებდა იმათ ცხენებს, ქალებს კივილი ედგათ; მხედრები ერთმანერთში ირეოდა... არავისა არა სწყინდა მგელას ხუმრობა, მხოლოდ სიცილით გაიგონებდით, როცა მგელა გამოუელვებდა თავის მათრახს:

— ნელა შე ოჯახ ქორო! ან კიდევ:—ბიჭო ცხენი არ გადამიგდო!

უკან მოდიოდა გაქივლივებული ხევის ბერი, რომელიც თავ-დაკიდებული ირყეოდა ცხენზედ; ქერივი დედა-კაცები შავს ტანის სამოსში ქვეითად, ეგრეთვე მუხუცებულები; პატარავები თავ-მოწონებით მორბოდნენ, იძრობდენ მამის, დროებით მიცემულს, ხანჯლებს და უქნევდენ ხის ტოტებს.

— ხალხი მოდის ლაშქრითაო. (დღეობაა)! გაისმა სოფელში. სოფლიდამ გზის პირებზედ გამოქუჩდა ხალხი, დედა-კაცები მოარბენინებდენ არაყიან ჩარექებს;—ეძახოდენ თავის ნაცნობებს, ნათესავებს.

მგელა და ერთი ქალარ-შესული კაცი იდგნენ ჩუმათ, ნაცნობი არა ჩნდებოდა. უცებ ზემოდგან ხმა მოისმა:

— მგელავ! ჰა მგელავ! ნურცა წამიხვალ, აქ ამაიარე, აგრემც დამსუდრავ, აქა!

მგელამ შეიხედა. მაღლა გორაზედ ნახა წამომდგარი ჩამომხმარი, მაღალ-მაღალი დედაკაცი შავს ჯუბაში. ეს იყო იმის და ლელა, რომელიც მოიტაცა ნადირაშვილმა ბიგაურმა, მგელა და ბექანი ხანის დაუყოვნებლივ წავიდნენ სიმღერით... ახირდა მგელა არ ასვენებდა ბექანს, რომელსაც მაგრე-რიგათ არ უყვარდა სოფელში მღერით სიარული, მაგრამ იძულებული იყო ბანი ეთქვა. მგელამ დაიწყო:

„მას ენაცვალოს მმობილი, რომ გამომგზავნა შინაო,
მე ჯვაროზებში დავდივარ, იმას ცხვართანა სძინაო.
სწორებო, თქვენის ნდომათა ცეცხლი
მწვავს ალი მედება!“ და სხვ.

ამათ წინ მოეგება წვერ თეთრი მოხუცი, აკოცა ორივეს, მოიკითხა. ლელამ შამოხსნა იარაღები და შეარბენინა კარებში, რომელიც სოროს წარმოადგენდათ.

მოხუცი ნადირას სახლი სრულებით არა ჩნდა ხშირათ ატეხილს შამბში; ერთი ძველი პაჭიჭი ან წინდა შამბში ამოჩრილი მარგილზედ ჩამოცმული თუ შეგაგდებდათ აზრზე, რომ აქ უნდა სცხოვრობდეს ვინმეო. მართლა, გარდა ძველის წინდისა, ჯოხზედ ჩამოცმული ეკიდა მჭვარტლისაგან გაყვითლებული ტყავის ქუდი ნადირას ძმის ბუჩუკურისა, რომელიც ამ წინა დღეებში გადაიცვალა. სხვა რო ვერაფერი მოეპოვებინა სახლში, ნადირას საფთხულად ბაკის პირზედ, თავის ძმის ქუდი ჩამოეკიდა.

ბუჩუკური ასი წლისა იქნებოდა, რო ისევ საქონელში დადიოდა, საქონელში, რომელიც შესდგებოდა ერთი თხისგან და ორი კუდა ძროხისგან. თხა—საყვარელი ბუჩუკურისა—ზედ წააკლეს; ნადირას დარჩა მხოლოდ ორი ძროხა.

— მოდით, დასხედით გენაცვალეთ! უთხრა ლელამ და გაუგო ნაბადი. ბექანი და ნადირი დასხდნენ მეცხვარე მგელა კი დასტრიალებდა ძაღლის ლეკვებს. რომლებიც სველ მიწაზედ დაბობამდნენ.

— გენაცვალოს მგელა, ამბობდა ის, ჩემო ძაღლებო, ვაიმე რაკა გუნცელა რაიმ არი ჩემი ძაღლი! ეს! ეს! ამის თვალანი, როგორ მიტარი ხდება, გიდი და გიდი, ძაღლს! რად მიჯავრდები (მლანძღავ)! იყვანდა და ჰკოცნიდა ხან ერთს და ხან მეორეს. —დიდო ძაღლებო! ამის ტოტნი! პუდი! ბაიმე!

— მგელავ! მოდი აგრემც გენა-

ცია უნდა იდგეს სოფლის ინტერესების დასაცველად.

მაგრამ ოზურგეთის უეზდის ადმინისტრაციას, რამდენიც უნდა ვამტყუნოთ ის, ჩვეულებრივის პოლიციის ძალით და უფლებით, არა შეუძლიარა გააწყოს ამდენ დამშეულ ფირალებთან და ავაზაკებთან. **საჭიროა** უმაღლესმა ადმინისტრაციამ გაადიდოს ადგილის ადმინისტრაციის მატერიალური ძალა, გამოიკვლიოს ამ სენის მიზეზი და გამოსცეს დროებითი კანონები ამ სენის ამოსაკაფავადა. რაც უნდა მკაცრი ღონის-ძიება იხმარონ, საზოგადოების ცხოვრების აღმაშფოთ და დამარღვეველი ავაზაკებისთვის ნამეტანი თავის დღეში არ იქნება.

*Salus populi suprema lex est* — ხალხის კეთილ-დღეობა უმაღლესი კანონიაო, ამბობდენ ფრანცუზები....

თვით საზოგადოებამ თავის მხრით უნდა გაუადვილოს ადმინისტრაციას ამ ავაზაკების დევნა და შეპყრობა. შეუძლებელია გურიის სოფლებში არ იცოდნენ ვინ არიან ამ ყაჩაღების მოთავენი; ასახელებენ კიდეც ზოგიერთა საუკეთესო თავად-აზნაურებს. მაშ ყველა პატიოსანი ოჯახის შვილის და საზოგადოების ღირსეული წევრის ვალია, თუ იცის, გამოაქვეყნოს ამ საზარელი გუნდის წევრნი და მისცეს მათი სახელები მმართლ-მსაჯულებას. თავს ისინი ტყუილად ვერ დაიმალევენ, როგორც თივა ვერ დაიმალავს თავს ცეცხლში და ბოროტ-მოქმედების დ მალვით ბოროტ-მოქმედების მსხვერპლებს კიდევ რამდენიმე მსხვერპლი შეემატება, სანამ ანდაზის არ იყოს, ავაზაკები თავის ნამდვილ გზას არ იპოვიან, ე. ი. ციმბირს არ გაემგზავრებიან. შემდეგ მიატებული მსხვერპლების ცოდვა კი თანასწორეთ იქნება როგორც იმათზე, რომელთაც ჩაიდინეს ეს ბოროტ-მოქმედება ისე იმათზედაც, რომელთაც იცოდნენ ეს ბოროტ-მოქმედება და არ გაამჟღავნეს, რადგანაც „დანაშაულობის არ გამჟღავნება დანაშაულობის თანამოზიარება არის", როგორც სწერდნენ ძველათ სასამართლოს კარებზე...

გარდა ამისა მთელი უეზდის მოსახლობა რომ შეიყრებოდეს ერთად და მოილაპარაკებდეს ამ საგანზე, რომ ის ამოირჩევდეს აღრინდულათ ხევისთავებს და გზის-მცველებს, რომ ამასთან უეზდის ადმინისტრაცია უფრო მარჯვედ და გულს-მოდგინეთ იქცეოდეს, უეჭველია, გურიის შუა-გულ ალაგში, დილის ათ საათზე, თექვსმეტი ცხენოსანი ყაჩაღი ვერ დაუხვდება დილიჟნით მიმავალ ქალ-კაცს.

ლელო.

## ახალი ამბები.

**სახელმწიფო** ქონებითა სამინისტრომ ყველა გუბერნატორებს გაუგზავნა ამ დღეებში დარიგება იმის შესახებ—თუ სახელმწიფო მამულები როგორ უნდა გაიცეს იჯარითა. ამ ქაღალდში, სხვათა შორის, მოხსენებულია რომ როდესაც სადმე იჯარით გასაცემი სახაზინო მამული გამოჩნდებაო, ამის თაობაზე განცხადება, ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდვის გარდა, მახლობელ სოფლის კანცელარიებში უნდა იქმნეს აკრული და წაკითხულიო და ამას გარდა სოფლის მღვდლები ვალდებულნი არიანო, რომ ეს განცხადება სოფლის ყრილობას წაუკითხონო.

ამ განკარგულების მიზანი ის არის, რომ სოფლის ხალხმა, გლეხ-კაცებმა, ადვილად შეიტყონ—თუ სადმე იჯარით გასაცემი სახაზინო მამულიო, და აიღონ, და ამნაირად ხხვა წოდების ხალხს, რომელნიც თვითონ არ მუშაობენ ხოლმე და გლეხებზე აქირავებენ, მოესპოთ ამ მიწების იჯარით აღების საშვალება.

* * *

ერთმა რუსის მაჰმადიანმა ბროშურა გამოსცა **სიმფეროპოლში**, სახელად „რუსის მაჰმადიანობა", რომელშიაც ავტორი ლაპარაკობს იმაზე—თუ როგორ შეიძლება რუსის ქვეშევრდომ თათრების განათლებისა და წარმატების გზაზე დაყენება. მოგვყავს ზოგიერთი მსჯელობა ავტორისა, მსჯელობა, რომელიც ისე კარგათ შეიძლება ითქვას ჩვენზედაც, როგორც ავტორი თათრებზედ ამბობს:

„მიეცით მაჰმადიანებს ღონის-ძიება სწავლისა, განათლებისა; გაუადვილეთ მათ ახალ აზრებისა და მეცნიერების შეთვისება,—და თქვენ დაინახავთ—თუ რა ადვილად და რა მალე დაადგებიან ესენი წარმატების და კეთილ-დღეობის გზასა. სასტიკის მოპყრობითა და ძალ-დატანებით არსად და არასოდეს არ მომხდარა და არც მოხდება ხალხის წარმატება. ზნეობით წარმატებისათვის საჭიროა ადამიანურად მოპყრობა ხალხისა, საჭიროა ამათი გონების განათლება სწავლითა და სამშობლო ენის შემოღება სკოლებში, პირველ-დაწყებით სასწავლებლებში და ლიტერატურაში.

„რუსული ენა როდი დააყენებს ამათ ახალს წარმატების გზაზე; არამედ სწავლა და მეცნიერება, რომელიც უადვილესისა და უნამდვილესის საშუალებით უნდა ჰქონდეს გარდაცემული, ე. ი. სამშობლო ენის საშუალებით.

„როდესაც ამ საშუალებით ხალხში სწავლის სურვილი და ცნობის მოყვარეობა გავრცელდება, მხოლოთ მაშინ დაუახლოვდებიან ისინიც რუსეთს, მხოლოთ მაშინ შეისწავლიან რუსულ ენასაც, და რუსეთის ცხოვრებასაც; მაშინ ესენი ისე განზე, და უნდობლად აღარ დაუწყებდნენ რუსებს ყურებას, როგორც ახლა უყურებენ..."

* * *

ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში სწავლა დაიწყო; ქალაქისვე პირველ-დაწყებით სკოლებში, ზოგში სწავლა უკვე დაიწყეს და ზოგში ამ კვირაში იწყება.

გასაკვირველია, რომ ჯერ-ჯერობით ამ სასწავლებელში და სკოლებში სწავლის მსურველნი ისე ბევრნი არ გამოცხადდნენ, როგორც შარშან.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ქსნის ხეობიდამ**, 29 აგვისტოს. ნათქვამია ძველი კაცებისაგან: „ვაის გავეყარეო, უის შევეყარეო". ჩვენი საქმეც ისეა.

ამას წინათ შემთხვევით ვიყავით

---

ცვლები, დაჯე, პური იამე. უთხრა ლელამ.

— მოდი, ვაქო, მოდი. შენ სუ ძაღლებში ნუ ამოგდის სული! მოდი, დაისვენე, წაბუტბუტა ნადირამ.

მგელა, როგორც იყო დასვეს; მაგრამ იმას ცალი თვალი მაინც ლეკვებზედ ჰქონდა. გაახშირეს არაყის სმა. ნადირას მოაგონდა თავის ბუჩუკური და წარმოსთქვა:

— ღმერთმა შეიწყალოს ჩემი ძმა ბუჩუკური.

— ამინ.

— მაიხსენოს ღმერთმა.

— მის დღეში კარგ უნახავი! განაგრძო ნ დირამ,—სიღარიბეში სიტიტელეში გაზდილი, სიცოცხლე ჩამწარებული მოკვდა, ისე, დამტირებიც აღარავინ დარჩა.

— რა უყვათ, ბიძავ, აბა რაღას უშველით, ღმერთმა მეტი ნუღარა ავი მოგვარგინოს. ბევრი უნდა მოკვდეს. წუთი სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება... უთხრა მგელამ.

— წინავ კიდევ რა გვიჭირდა, ამბობდა ნადირა, ხალხი ცოტა იყო, კარგი ვაჟკაცები ვიყავით. ეხლა ქალაჩუნა ხალხილაა, გაბევრდა ის არი და ერთს მტკაველს მიწაზედ ჭამენ ერთმანეთს... მაშინ განა ეგრე იყვის!

— მაშ რა რიგა, ჩემო ბიძავ? ჰკითხა მგელამ.

— მაშინ, ბიჭო, მოსჭრა ბექანმა, ლაღადა ყოფილა ხალხი, ჯავრი არა სცოდნია. სულ ბაღლებივით სიცილ-გახარებაში ყოფილან.

— მაშინდელივით აღარ არი, ამოოხვრით წარმოსთქვა ნადირამ, ერთი მამალი-კი ჰყივის წინანდებულად, სხვას მე ველარასა ვხედავ, რო მაშინდელივით შო იდვას.

— მე აკი არცა-რა ეხლა მადარდებსა! სთქვა ზელიამ და წაატანა ხელი ისევ ძაღლის ლეკვს; შემდეგ მობრუნდა გადახვია ბექანს ხელი, ის იყო უნდოდა სიმღერის ამოთქმა, მაგრამ ხმა ისევ შეიკავა—შერცხვა, მოაგონდა ბუჩუკურის სიკვდილი... ნადირამ შეატყო სირცხვილი და უთხრა:

—„იმღერეთ, თქვენი ჭირიმეთ, იმღერეთ თქვენი დრო არი, რამდენსაც იმხიარულებთ, იმდენათ წუთის სოფელს დაამულათებთ. თქვენი სისხლი დუღს, გული ტოკავს.

მგელამ და ბექანმა ცოტა ითჭინეს, მაგრამ ჭაჭის არაყი თავში ავარდა და ორივეს ენა ამოადგმევინა, მგელამ დაიწყო:

„მე უმღერალი ვერ გავძლებ,
სულო შამინდევ მკვდრისაო!"

— ეგრე თქვენი ჭირიმეთ! უთხრა ნადირამ. ეგრე, თქვენ სუყველა გეპატიჟებათ... ბექანსაც აეშალა დარდები: აქამდის ბ ნს ამბობდა, ახლა თვითონაც დაიძახა:

„დროება გამოგვეცვალა, გესმისთა,
ფშაველ-სევსურნო!
არავის ქობებ მაგვაგრა, ტყეზედ დაგ-
ვედვა ბაჟია
ოცდა ხუთ-ხუთი მანათი ქობს ყურ-
შატებზედ აბია *);
პირშიით სულებ ამოგვძრა, ზურგზედ
ტყავ-აღარ გვაკრია.
იარჩი არ მოდის დიკები. მთებში
გვიზრება ქრია,
რას გვეტყვი, ჩვენო ხელმწიფევ,
სუსათი შემოგვეღია?!
ხან ვიტყვი, ლეკში გადვარდე, გაგ-
წირო სახლიდ კარია,
თავს საცა უნდა ვაცხოვრებ, გაი ცოლ-
შვილის ბრალია,
ცარიელ სახლი დაუგდე, აღარ უბავის
კარია
პატივ ნახევსა თავებსა ხოკრები
დაუჩმია;
დარიბის კაცისთვინაო წუთის-სოფე-
ლი მწარია.

— აი დედა ვაცხონე ამისა ყინჩად ვისმე არ უთქომა, შენი ჭირიმე! ამბობდა ნადირა.—ვაი! ვაი! ვაი! აკი ვენაცვალე იმას ი ენა პირში.

— მართალ რას არ არი, შენი ჭირიმე, სთქვა ბექანმა და გაიმრუდა ქუდი გვერდზედ თავ-მოწონებულმა.

მგელას კი ამათი ლაპარაკი არ ესმოდა; იმას ეჯდა ძაღლის ლეკვი კალთაში, უსომდა ზურგზედ ხელსა, ჰკოცნიდა და ვერა გრძნობდა, თუ ეს ორ ცხოვრების ულელში ნაბამი კაცი რასა ლაპარაკობდა. ამათ უგდებდა ყურს, მარტო პაპა ბუჩუკურის ქუდი „სისაწყლის" მოსასმენად; თითქო ის ილმინჭებოდა და მკრთალათ მობჟუნტალე მთვარის შუქზედ. ქარის გრიალზედ გაწეწილი გრიალობდა. ქარი სტვენდა, ვაზრიალებული ერთი ტყის ბოლოდამ მეორეში გავარდებოდა, წამოეწეოდა კიდეზედ გადმომდინარს ანკარა ხევას, იჭერდა იმის წკან-წკარის ხმას, იტაცებდა იმ ხმასთან და მიაწყვეტდა ხოლმე სადღაც კლდეს სიშორეში, იქიდამ გამოსხლეტილს ახვედრებდა კაცს ყურებში.

— აი ბიჭო! სთქვა სიჩუმის შემდეგ ბექანმა, მართალი რას არ არი. ჩვენსავით თავ-დანებებული ჯიანჭველაც არ არი. ყველა თავს ეშველება, მაგრამ გლეხი-კაცი ვერსა წავა. ყველა ქვას გვესვრის. ძირშიით დედა-მიწა

*) შტრაფი, რომელიც დაწერა მთავრობამ (აქციზის გამგეობამ) ქვაბების პატრონებს.

ჩვენ უეზდის ქალაქ დუშეთში და ვნახე, რომ აქა-იქა შეგროვილი გლეხები იყვნენ; მივედი ერთ გროვასთან და ვკითხე-რა საქმეზედ არიან ისინი. იმათ მიპასუხეს:

— ჩვენ უწინდელ მომრიგებელ შუამავალზედ (პოსრედნიკზედ) ვჩიოდით, რომ ყურადღებას არ გვაქცევდა, მაგრამ ახალი იმაზედ უსაქმური ყოფილაო. რამ წამს გავიგეთ, რომ ახალი მომრიგებელი დაგვინიშნეს, მაშინვე მოვედით აქ სანახავათ, მაგრამ ეს ერთი თვე მეტია, მოვდივართ და მივდივართ. გვეუბნებიან სახლი კი აქ დაიჭირაო, მაგრამ თითონ აქ არ არისო, ქალაქს წავიდაო. აგერ თექვსმეტი წელიწადი მეტია, რაც ჩვენმა ნაბატონარმა ჩვენი მამაპაპის ნაჭერი მამულები ნადელში მოგვცა. ახლა ერთი ვილაც გამოჩნდა, სუდში გვიჩივლა, სუდიამ საბუთები მოგვთხოვა და ამ საბუთებისთვის მოვმართეთ ბ. პოსრედნიკს. ის, როგორც წეღან მოგახსენეთ, ვერ ვიპოვნეთ და საბუთები ვერ შევატანეთ სუდში, ამისთვის სუდმა დაგვსაჯა ფულის გადახდევინებით მოჩივრის სასარგებლოთ... ახლა შევიტყეთ იმისი მობძანება, და მოვედით ჩვენი საქმის პირების გამოსატანათ. ამ დალოცვილმა დარიგების მაგიერათ სულ დავთრები დაგვიკარგა; რატო ქალაქში არ მოხვედითო, თუ გინდოდათ განა იქ ვერ მიპოვნიდითო! განა ადვილია გლეხი-კაცისთვის ქალაქს ჩასვლა; ან არა და იქ რო ჩავსულიყავით, შეიძლება პანჩურს გვითავაზებდა: აქ რა მოგარბენინებდათო!...

პატარა ხანს ჩაჩუმდა საწყალი, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— თითქო გამიგონია, რუსეთში დიდ სასწავლებელშია გაზდილი, დავიჯერო იქ ყვირილს და ლანძღვას ასწავლიან! ისიც გამიგონია მაგისი თანამდებობა შუამდგომლობა არის, მორიგება მებატონესა და გლეხისა და ყვირილით რა შუამდგომლობა უნდა გასწიოს, თუ არ დარიგებით და შეგონებით! ეგ დალოცვილი კი არამც თუ გვარიგებს, გულებს გვიხეთქამს...

— უველა-ყველას, სთქვა ამავე გლეხმა, და ეს რაღა სამართალია, რომ ბევრის ცხენებით დაბძანდება. აკი ბევრობა გადავარდაო. სადაც მივა, ბევრის ცხენებს, მოიკითხავს და იქამდის ატარებს ჩვენ ცხენებს, სანამ იმისთანა სოფელში შავა, სადაც ცხენებს უშოვნიდნენ. იმას კი არა ფიქრობს, რომ ჩვენ ძნელათ გვეშოვება ცხენები და, თუ ვიშოვნეთ, ასიც უნდა ვიქირაოთ. თუ ამან ყოველთვის ასე იარა, მეტი გზა არა გვაქვს, უნდა კამბეჩები გავყიდოთ და ამისთვის ცხენები ვიყიდოთ, თორემ ქირას ვერ აუვალთ. ერთი რომ მოდიოდეს კიდევ არაფერი, მაგრამ ორი და სამი ბიჭი მოჰყავს და ყველას ცალკე ცხენები უნდა მივართვათ...

დუშელი.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო, თქვენის გაზეთის 172 №-რის ფელტონში ვიღაც სიღნაღელი სხვათ შორის მეხება მეც და აძაგებს და ამდაბლებს ჩემს მოქმედებას საზოგადოთ და პედაგოგიურს საკუთრად. ამისთვის, თავი რო გავიმართლო და ჭეშმარიტება აღვადგინო, გთხოვთ მცირე ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს შენიშვნას.

ბევრი ტყუილი გამიგონია, მაგრამ ამისთანა ცოცხალი ტყუილი; როგორსაც გვიამბობს ბ. სიღნაღელი, არსად და არას დროს. თითქო იტყვიან; ბუზს აქლემს ვერ აშობინებენო, აგერ სიღნაღელმა აშობინა კი არა მეტიც უყო. ის ამბობს რომ, როგორც ამბობენო, ს. ქვემო-მაჩხაანის სკოლის მასწავლებელს კვირაში სამი გაკვეთილის მეტი არ აქვსო და ისიც თითო საათიც არ რჩებაო გაკვეთილზედ. ბ. სიღნაღელს ეტყობა სცხვენიან თავის ტყუილებისა და უნდა რომ იმას არ მიაწერონ, სწამებს სხვებს, როდესაც ამბობს: ამბობენო. მაგას რომ დაუჯეროთ, სწავლის წელიწადში მომივა სულ ბევრი ოცდა-ოთხი დღე სწავლა, რა ხანიც სრულებით არ არის საკმაო არამც თუ იმისთვის, რომ მასწავლებელმა წესიერად გაიაროს დაწესებული პროგრამმა, არამედ უბრალო ანბანის კანონიერად შესწავლისთვის; და რომ ჩემმა შეგირდებმა გვარიანად იციან ყველა საგნები პროგრამმაზედ, ვისაც უნდა ამაში დარწმუნება, შეუძლიან ყოველის დაუბრკოლებლივ მობრძანდეს ჩემს სკოლაში და გამოსცადოს ისინი რაშიაცა ჰსურს.

მოისმინეთ ახლა მეორე ცილისწამება ბ. სიღნაღელისა. ამბობს, კიდევ სხვებიდგან გაგონილს, ვითომ მე მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არა ვჩვენებოდე სოფლის ყრილობას სალაყბოზედ! განა შეიძლება, რომ სოფელში კაცი ცხოვრებდეს, სოფლისთვისა შრომობდეს, სოფლელების შვილებს ასწავლიდეს, მათზედ ზრუნავდეს, მათთან მუდამ სკოლის შესახებ საქმე ჰქონდეს და ერთხელ მაინც იმათ რომელიმე საჭირო საქმეზედ არ მოუხდეს სჯა და ლაპარაკი? სალაყბოზედ იქნება ეს თუ სხვა ადგილას სულ ერთია. სალაყბოზედაც რომ არ გადიოდეს კაცი, თუკი იმას ხალხის განათლება უნდა, მის სარგებლობის მოტანა სურს და ცდილობს იმის სწორე გზაზედ დაყენებას, მერწმუნეთ, სადაც უნდა იყოს ამისთანა კაცს არ დაავიწყდება თავისი მიზანი და მოვალეობა. და თუ იმას ამბობთ, რომ ჩემს წარმოებას და მოქმედებას შესამჩნევი ნაყოფი არ მოუტანია, ამაზედ მოგახსენებთ, რომ რაც ქვემო-მაჩხაანში სკოლა დაწესდა, სულ ექვსი წელიწადია და თქვენ გინდათ რომ ამ ხანში ზნეობითაც აღვამაღლო, მკითხაობაც მოვსპო და შინაური ექიმობაც იმ ხალხში, როგორიც არიან ქიზიყელები საზოგადოთ და ქვემო-მაჩხაანის მცხოვრები საკუთრად, მით უმეტესად რომ სკოლის დაარსებიდგან ჩემს წილად მოდის მარტო სამი წელიწადი? დამერწმუნეთ, რომ რაც უნდა ენერგიით სავსე და საქმით დაუღალავი კაცი იყოს აქ მასწავლებლად, სამს წელიწადს, რა ხანიც მე აქა ვარ, ვერას გზით ვერ შეუძლიან შეასრულოს ის, რასაც თქვენა ფიქრობთ, არამედ მოუნდება ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი დრო.

---

გვაქვავებს და ზეითაით ცა. მაგათ ყმანი ვართ.

— მე კი სუ შიშის ქვეშა ვარ, სუ რაღმე მეშინიან—სუ იმას ვფიქრობ—ვაი თუ გამითავდეს, რით გაუძლევ ან ხელმწიფეს, ან მტერს, ან მოკეთესაო, რაღა ვქნა, ვინ მამცემს, რო გამითავდესო. წოლან მერო ცხვარშიით მოსვეს ხახის სახთანისას ჩამოვიარე, შენს მტერს აი სითაი მე რო იქ ვიხილე. ჩამოაღ. ჩქრო რაიმ მამედინა, მითამ აღარც კრუსუნსა ჰქვანდა, აღარც კნავილს. გადავიარე. ამაში ე ქალი ხაზაის მზევინარი კი ვნახე გადაფითრებული...

მგელამ რო ზევინარის სახელი გაიგონა, აცქვიტა და ჩაიცინა

— აცხრუებდა, შამბი რამ კი ეყარა კალთაში, ნაცრის ფერი ედვა-აბა რა ქალია! ჯერ კი ვერას ფულისზმას მიველ, მერე ვიფიქრე იქნება შიმშილისაგან გადასხრწნეული იყოსსო, ხალი (ქუმელი) რომ მედვა გუდაში, ის ამოვართვი, იმას კი შარცხვა უთხარ: „—ნუ გცხვენიან, ჩემო ქალო, ნახა უჭირდეს კაცს, თხოვნა სირცხვილი არ არის, თუ რამ მოგინდეს ჩვენს ჩამაიაროდიო. შაჭამა ცოტა მერე მძლივ ენა ამაიდგა.

— ცოდვა არ არის იმისად მომშიეპა! სთქვა მგელამ და დაიკრა გულზედ ხელი, არა სცხვენიანა ხახას, ი ცივ ოფლას, რას აკეთებს და არ უშოვნის პურს საითაც იქნება.

— წოლან რა ვთქვი! შეუტია ბეჟანმა მგელს,—გეძინა განა? ეგეთა არიან, როცა კაცს ჩვენ ფერს თავის ოფლით ნაშრომი გაუთავდება ადვილად ველარას იშოვნის.

ცოტა ხანს შემდეგ ლელაც გამოჩნდა ნაცარში ამოსვრილ ჯუბაფაფანაკით. მიუჯდა სტუმრებს მუხლის კვერზედ და მოჰყვა თუ რამ ენახა, ან გაეგონა. დაიწყო სიცილით, პირზედ ხელსახოცი მიიფარა.

— თქვენ რა ვაჟკაცები ხართ, ვაჟკაცობა აისითა უნდა დათვიაანთ რძალსა და ქალს რო უქნავ! აქ ლელამ ჩაიკასკასა. სომეხა რაიმ არ დავაა, ბიჭო!.. ლელამ კიდევ ჩაიკასკასა, სული ყელში ამოუჯდა... მისულა, ფარჩა მიუტანავ იმათას... აქ კიდე სიცილი მოუვიდა მელანიას, მაგრამ ნადირამ შეუტია:

— თუ ამბობ, თქვი, თუ არა და რა ცხენივითა სჭიხვინებ! ლელას ცრემლები წამოუვიდა სიცილისგან.

— ამაში ამ სომეხს დაუწყავ ამ დედაკაცებისთვის (აჯავრებს): „მა, დედაჯან, მამა გიცხონდათ, მშივრები იხოცებით რა გ...ი...ნდათ...ჩემ...გ...ით ფუ...ლ...ი აიღეთ ხომ არაფერი... მოგივათ...... ქიდე უნდოდა გაეცინა, მაგრამ ნადირას თვალებმა შეაკავებინეს სიცილი..

— დაუჭერავ ამ დედაკაცებს ე სომე..ხი... გაუტიტვლებავ, შალვარნიც დაუხდიან, ქუდიც წაურთომ, გაუტყრუშავ ჯინჭრით და გაუშვავ საცოდავი, ველარ ვამბობ, ჩემთ ძმათ მზემა, თორო საცინელია, საცინელი, რო ამაზედ საცინელს ველარას გაიგონებს კაცის ყური.

— ახლა ის გაიგეთ, უთხრა ნადირამ, ეგ სომხები რასღა ამბობენ: მშიერ-ტიტვლები ცოლ-შვილი დაგიდისთ, თქვენს ქალებს და ცოლებს ერთი თავზედ შამოსაკრავ ხელცახოცში ამას იმას უშვრებითო! ემას გვაყვედრიან ჩვენ აი! რა ვიცით ჩვენა!

ლელამ განაგრძო თავის ლაპარაკი, მოიგონა ბევრი სხვაცა და ამის ლაპარაკი ამ შექციფიანებულს ხალხს „ნანასაებ" შეესმა. იმის ლაპარაკზედ ყველას ძილი მოეკიდა. ნადირა მიწვა გვერდზედ შამბის ძირში და მიიძინა; მგელსაც, რომელიც სიცილით აღარ იყო და იძახოდა:

— ვენაცვალე იმ დედაკაცების ჩიქილებს და იმათ კაბის ბოლოებს, რო ისე კარგა დახვედრიან იმ სომეხსა,—ჩასთვლიმა ბეჟანმაც ხვრინვა ამოუშვა.

ლელამ რა ნახა, რომ იმის სიტყვებს არა თანაუგრძნობენ, უკმაყოფილოდ შესწყვიტა ლაპარაკი. უვე-ლას რაღაც ნაგლეჯები, ზოგი ნაბდის, ზოგი ფარდაკისა, ზოგი ფლასისა დახურა.

უცებ სიჩუმე გამეფდა ამ უმისოდაც მიყრუებულ მხარეში. მთვარემ დაიწია და ერთი მთის გრილო გამოღმიდამ გალმა მიაყენა. აქა-იქ გორებზედ ენთოთ ცეცხლები და გაისმოდა მეცხვარების კივილი. ორი ბუ საბრალოთ იძახდა სადღაც ულრანს ხევში: "ვერ იპოვეო!" „ვერაო" მეორე უგდებდა პასუხად. ძაღლები იყეფებოდენ და ღრენით მიიკმენდამდენ ხოლმე ხმასა. შორიდამ დრო-გამოშვებით ნიავი მოაწყვეტდა კაცის ყურს ანკარა მდინარის ჩხრიალს ზვავისგან მოლაგებულს კლდეებზედ...

ყველაფერი მიჩუმდა; ერთი-ღა ბუჩუკურის ქუდი, დალმეჭილი, ჩამომტირალი ეკიდა ბოძზედ, მარტოთმარტოკა მიტოვებული, მაგრამ ის ფხიზლათ იყო თავის მიზნის მისაღწევათ, იმას არ ემტყუვნა იმ საქმისთვის, რაზედაც ძმამა და ქვეყანამ დააყენა, სიკვდილითაც, როგორც სიცოცხლით იქვე ტრიალებდა ქვეყნის მონებისთვის...

მართლაც, თუ იმის ქუდი არა, ვინ იცის, მთვრალი ნადირას საქონელს მგელი ან დათვი ჩაინადირებდა...

ლ. ზ—რ..

და ბოლოს ბ. სილნალელი მწამებს, ვითომ მე თაყვანსა ვსცემდე ბახუსს ნათლობებში, ქორწილებში, ქელეხებში და სხვ.. რასაკვირველია, აქ არ არის ლაპარაკი ცოტა ღვინის სმაზედ, რადგან ცოტას ყველა სვამს, გარდა ავათ-მყოფისა და სიყრმიდგანვე უჩვეველისა; აქ ბ. სილნალელი ლაპარაკობს ლოთობაზედ; მაგრამ ამაზედაც იმას ვიტყვი, რაც რომ წინათა ვსთქვი, ესეც იმისთანა ტყუილი და ცილის-წამებაა, როგორიც ისა, რომ კვირაში ვითომ სამი გაკვეთილის მეტი არა მქონდეს და წელიწადში ერთხელაც არ გამოვსულიყო სალაყბოზედ ხალხის ყრილობის დროს. ამასაც იმ ცარიელ და სხვისგან გაგონილ სიტყვებზედ აფუძნებს, რომლებზედაც პირველებს. რაც შეეხება იმასა, რომ, თუ შემთხვევა და დრო მომცემს, წავიდე ნათლობაში და კამპანიაში, ამაზედ მოგახსენებთ, რომ ხანდისხან და დროს დახედვით იქ წასვლას მე საშუალებათა ვხდი ხალხთან დაახლოვებისა, იმის გაცნობ ისა, შესწავლისა, იმის საჭიროებაზედ ლაპარაკისას და ყველაფრის ჩაგონებისას ტკბილი ბაასის შემწეობით.

ს. ქვემო-მაჩხაანის სკოლის მასწავლ. დ. კაპანაძე.

28 აგვისტოს.

# განცხადებანი

ვიღებ ყმაწვილებს — მოსწავლებ სხვა და სხვა პირობებით. სადილით, სამოვრით. სანთლით და შეშით. ოთახი წმინდა უნოტიო და თან წმინდა ეზოც ბაღჩით.

არსენალის ქუჩა, ტერ-ლუკასოვის სახლები, № 21. იკითხეთ როსტომ ქვანჭატირაძე. (1—1)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შოკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფონდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისსახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში**. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—2)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—12)

**ადვოკატი პეტრე ტროფიმისძე გარდიევსკი**

ამით აცხადებს, რომ ის იღებს თავის-თავზე **სუდებში** დაცვას და წარმოებას **სამოქალაქო** და **სისხლის სამართლის საქმეებისას.**

ყოველი მონდობილება ქუთაის გარეთ მცხოვრებლებიდგან იქნება ასრულებული დაუყოვნებლივ.

მუდამი ბინა მექნება ქალაქ ქუთაისში, ბილახვანის ქუჩაზე, ნიკოლაიშვილის სახლში. (5—5)

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული ვ. ხ. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლის, მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—5)

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—9)

ჩარკვიანის და ამხ.

# წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს კონსტიტუციის პირდა-პირ № 15. 5—5

**ინგლისის მაღაზიაში**

**არწრუნის გალლერეიაში**

***(Maison de confiance)***

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—35)

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყუოთ.** (100—29)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა. კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შირო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გამრიელი კლეშჩოვინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკავანას გიარები. (100—17)

**მიუხედავათ** ნაღდი რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო პარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა დამატებით ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—99)

**ახლად მიღებულია**

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—21)

ინგლისის მაღაზიაში




ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკიცილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—24)

**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 სეკტემბრიდამ 15 სეკტემბრამდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | — |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | 3½ |

იმავე ფქვილ თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ | 5½ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაღლნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი